# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება №487

# 2014 წლის 12 აგვისტო

# ქ.თბილისი

## „დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 5 ნოემბრის №284 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შეტანილ იქნეს ცვლილება „დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 5 ნოემბრის №284 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 05/11/2013, 010240010.10.003.017451) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის:

ა) მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სახელმწიფო მინისტრს ჰყავს პირველი მოადგილე და მოადგილე. სახელმწიფო მინისტრის პირველ მოადგილეს და მოადგილეს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სახელმწიფო მინისტრი.

4. სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილის, მოადგილისა და აპარატის სხვა საჯარო მოსამსახურეთა ფუნქციურ მოვალეობებს განსაზღვრავს სახელმწიფო მინისტრი.“;

ბ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. სახელმწიფო მინისტრის სამუშაო გრაფიკის უზრუნველყოფისა და საქმიანობის საერთო-საორგანიზაციო ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფო მინისტრს ჰყავს თანაშემწეები, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სახელმწიფო მინისტრი.“.

2. დადგენილებით დამტკიცებული საშტატო ნუსხა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„დანართი №2**

**დიასპორის საკითხებში**

**საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის**

**საშტატო ნუსხა**

| № | თანამდებობა | რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | სახელმწიფო მინისტრი | 1 |
| 2 | სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე | 1 |
| 3 | სახელმწიფო მინისტრის მოადგილე | 1 |
| 4 | დეპარტამენტის უფროსი | 3 |

| | | |
|---|---|---|
| 5 | სახელმწიფო მინისტრის მრჩეველი | 4 |
| 6 | ფინანსური მენეჯერი | 1 |
| 7 | სახელმწიფო მინისტრის თანაშემწე | 2 |
| 8 | მთავარი სპეციალისტი | 5 |
| 9 | სპეციალისტი | 2 |
| | **სულ:** | **20.**“. |

**მუხლი 2**
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**